პროლეტარებო უფლა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 263 (11569) | ოთხშაბათი, 11 ნოემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი 1959 წლის 22 დეკემბერს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად შეტანილია საკითხი სკკპ XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1958 წ.) პლენუმის იმ გადაწყვეტილებების შესრულების ღონისძიებათა შესახებ, რომლებითაც გათვალისწინებულია მიწათმოქმედების აღმავლობა და მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და მემცენარეობის სხვა პროდუქტების გადიდება, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება და ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება, კადრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება, სოფლის მეურნეობის შემდგომი მექანიზაცია, შრომის ნაყოფიერების გადიდება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამ საკითხზე მოისმენს რუხეთის სფხრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის, უაზახეთის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და აზერბაიჯანის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მოხსენებებს.

კომუნიზმის დიადი გამარჯვებებისაკენ!

ზღვა სიხარულსა და აღფრთოვანებას მოუცავს ჩვენი დიადი სამშობლო. უმაგალითო ზეიმით იდღესასწაულა საბჭოთა ხალხმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეორე წლისთავი.

სახელოვანი წლისთავი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად სიხარულით აღნიშნა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ასეულ მილიონობით ადამიანმა.

ოქტომბრის დღესასწაულის დღეები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობის ახალ ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა. კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ და ინტელიგენციამ, მთელმა ჩვენმა ხალხმა ახალი ძალით ცხადყვეს თავიანთი ერთგულება და რკინისებური დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავიანთი ურყევი მისწრაფება — წარმატებით განახორციელონ პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, მთელი ენერგია და უნარი მოახმარონ დიდი ლენინის უკვდავი იდეების, კომუნიზმის იდეების გამარჯვებას.

დიდებული და შესანიშნავია გასული წლის შედეგები.

ჩვენი საქმეები კარგად მიდის. წარმატებით ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი შვიდწლედის პირველ წელს უფრო სწრაფია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში იყო. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება გეგმით გათვალისწინებული დავალებები.

განუხრელად წინ მიიწევს სოციალისტური სოფლის მეურნეობა. სულ ჩვენს ქვეყანაში 1 ნოემბრისათვის შესყიდული და დამზადებულია 825 მილიონი ფუთით მეტი მარცვლეული, ვიდრე 1949-1953 წლების საშუალოწლიური დამზადება იყო. სასოფლო-სამეურნეო კულტურების 1959 წლის მოსავალი სავსებით უზრუნველყოფს მშრომელთა მოთხოვნილებებს და სახალხო მეურნეობის ყველა საჭიროებას.

გაიზარდა და გამრავლდა სოციალისტური საზოგადოების სიმდიდრე. ამასთან დაკავშირებით შემდგომ გაუმჯობესდა და ამაღლდა საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე.

ჩვენი სამშობლო მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის ქვეყანაა. საბჭოთა თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების გაშვება, მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ მწყობრში ჩადგომა ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის, სოციალისტური კულტურის ბრწყინვალე ტრიუმფია.

საბჭოთა ხალხს მაღლა უჭირავს მშვიდობისა და მეგობრობის დროშა. მშვიდობის ძალების დიდი გამარჯვება იყო ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ, რომელსაც ხალხებმა ისტორიული ვიზიტი უწოდეს, მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარების ფართო პერსპექტივები დასახა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სიხარულითა და სიამაყით იზეიმეს ოქტომბრის დღესასწაული ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა. რაოდენ დიდი და შესანიშნავია ქართველი ხალხის მიღწევები! ჩვენი მრავალსაუკუნოვანი საქართველო საბჭოთა მზის ქვეშ ხელახლა დაიბადა და გაიფურჩქნა. თბილისში, სოხუმსა და ბათუმში, სტალინირსა და ქუთაისში, რუსთავსა და გორში, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გამართული მშრომელთა ხალხმრავალი დემონსტრაციები მზიური საქართველოს მიღწევების, შვიდწლედის პირველ წელს მოპოვებულ გამარჯვებათა ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო.

ვის არ გაახარებს და გულს სიამაყით არ აღუვსებს ამ გამარჯვებათა უბრალო ჩამოთვლაც კი: ჩვენი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე დაჭრის თბილისური ელექტრომავალი; შეიქმნა მეცნიერული კვლევისა და ძიების ახალი მძლავრი კერა — მწყობრში ჩადგა ატომური რეაქტორი; ვადაზე ორი თვით ადრე დამთავრდა ყარადაღ-თბილისის გზსადენის მშენებლობა.

ჩვენმა მეჩაიეებმა სარეკორდო მოსავლით გაახარეს დედა-სამშობლო — მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 140 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 7 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. თავიანთ წარმატებათა შესახებ უპატაკებენ დედა-სამშობლოს ქართველი მევენახეები და მეხილეები, მეციტრუსეები და მეთამბაქოეები, მამაცი და გამრჯე მეცხოველეები.

დიდია ჩვენი წარმატებანი, მაგრამ წინ კიდევ უფრო დიდი და პასუხსაგები სამუშაოები მოგველის! სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომლებმაც დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს ქართველ მეჩაიეთა გამარჯვება, თავიანთ გულითად მისალმებაში გამოთქვამდნენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები ახალ წარმატებებს მიაღწევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაში. ეჭვი არ არის, რომ ეს ასეც იქნება!

საქართველოს მშრომელთა პატრიოტული მოვალეობაა არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, იარონ სულ წინ და წინ, მოიპოვონ ახალი წარმატებანი შვიდწლედის დიად დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის ბრძოლაში. საჭიროა მთელი ჩვენი ყურადღება გავამახვილოთ გადაუჭრელ ამოცანებზე, წარმოების რეზერვების გამონახვასა და გამოყენებაზე.

კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ ოქტომბრის დღესასწაულის შესახვედრად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების დროშა. ეს იმის საფუძველი იქნება, რომ შემდგომ გავამრავლოთ ჩვენი წარმატებანი, ღირსეული შრომითი საჩუქრებით შევხვდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმსა და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობას.

შენთვის, ჩემო ქვეყანავ!

ზეინკალთა ბრიგადირი

შრომა, კეთილშობილური შრომა ამაღლებს ადამიანს. რამდენია ისეთი, ვინც ფუტკარივით ალალად შრომობს, აკეთებს სასარგებლო საქმეს, გულით ემსახურება მშობელ ქვეყანას, ზრდის სახალხო დოვლათს, მაგრამ ჯერ კიდევ უცნობია ფართო მასებისათვის. მას მხოლოდ მახლობლები, მეგობრები იცნობენ, და სჯერათ, რომ ადრე იქნება თუ გვიან, მაინც მივა სახელი და დიდება ასეთ გამრჯე ადამიანთან.

უჩინრად, დინჯად იწყებენ ასეთი ადამიანები ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლას და ბოლოს საქვეყნოდ ცნობილი ხდებიან. ამის მაგალითი უთვალავია. რამდენ რამეს გვეუბნება ახლა მამაის, გაგანოვას, კუბლაშვილის, ჩადუნელის, რუსიას, ვეგელაშვილის და სხვათა სახელები, რომლებიც ხალხმა შეიყვარა და დიდებით შეამკო. გმირული შრომით მოიპოვეს მათ ეს დიდება და საყოველთაო აღიარება როგორც წარმოების განთქმულმა ნოვატორებმა.

ბევრია ჩვენში მოწინავე ადამიანი. ერთ-ერთი ასეთია თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირი უშანგი გურგენიძე. სიკაბუკიდან გაიტაცა ზეინკლობამ და ისე დაეუფლა არჩეულ ხელობას, რომ ახლა ყველას წინ უსწრებს დედაქალაქის ამ უახლეს საწარმოში. წარმატებით იბრძვის მისი ბრიგადა კომუნისტური შრომის კოლექტივის მაღალი წოდების მოსაპოვებლად. გურგენიძის ბრიგადამ დიდი გადამეტებით შეასრულა ოქტომბრის 42-ე წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულება. იგი კვლავ დადგა შრომითს ვახტზე და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს საქართველოს კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის შესახვედრად გაჩაღებულ შეჯიბრებაში. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა 200-250 პროცენტით გაანაღდოს საწარმოო დავალება.

• • •

სურათზე: ბრიგადირი უშანგი გურგენიძე.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

★ ★

უპატაკებენ სამშობლოს

◆ **მახარაძის** რაიონის მშრომელებმა, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის იბრძვიან, ვადამდე — 1 ნოემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა. ხორცის მიყიდვის დავალება შესრულებულია 100,1 პროცენტით, რძისა — 109,7, კვერცხისა — 101,3, კურკოვანი ხილისა — 150,2, თესლოვანისა — 109,5 პროცენტით. პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

◆ **ბოლნისის** რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, რომლებმაც გაიჩაღეს საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შეასრულეს 100,1 პროცენტით, რძისა — 100, კვერცხისა — 100,3, მატყლისა — 100, ტყავნედლეულის დამზადების წლიური დავალება — 110 პროცენტით, მათ შორის მსხვილფეხა პირუტყვის ტყავისა — 100 პროცენტით, წვრილფეხა პირუტყვის ტყავისა — 112 პროცენტით. სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის მიყიდვა გრძელდება.

◆ **ამბროლაურის** რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 5 ნოემბრისათვის 100,6 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 3.221 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.200 ტონისა.

ქეგის ღირსია

სამტრედია. (საკ. კორ.). ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში თავი ისახელა ლიმონათის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ვადაზე ორთვენახევრით ადრე გაანაღდა წლიური საწარმოო დავალება. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 4 პროცენტით.

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ ქარხნის მოწინავე ადამიანები ვ. ვარდუჯაძე, ვ. სიხოვა, ი. კრავეიშვილი, ნ. გრიგოლია, ვ. ბებია და სხვები.

სოფლის მშრომელთა წვლილი

რძის წარმოება საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში

1959 წლის 1 ნოემბრისათვის

რაიონები	საშუალო წველადობა კილოგრამობით			წველადობა ტონობით	
	1959 წ.	1958 წ.	1959 წ. % 1958 წ.	1958 წლთან შედარებით პროცენტებით	დაყენებული ადგილი მაგების მიხედვით
1. ბათუმის	2.195	1.952	112,4	113,1	38
2. ბოგდანოვკის	1.783	1.588	112,3	113,0	40
3. ქობულეთის	1.768	1.529	115,6	118,5	20
4. წალკის	1.672	1.557	107,4	115,2	30
5. დმანისის	1.652	1.575	104,9	114,4	33
6. წითელწყაროს	1.608	1.376	116,9	120,9	17
7. ახალქალაქის	1.583	1.360	116,4	117,1	24
8. სიგნაღის	1.507	1.317	114,4	114,0	37
9. გურჯაანის	1.485	1.270	116,9	128,4	11
10. მახარაძის	1.471	1.283	114,7	117,1	26
11. ახპინძის	1.383	1.345	102,8	107,7	51
12. თეთრი წყაროს	1.361	1.016	134,0	137,4	3
13. ბოლნისის	1.321	1.251	105,6	114,7	32
14. მცხეთის	1.309	1.226	106,8	113,1	39
15. ტყიბულის	1.301	1.051	123,8	124,7	14
16. სიღნაღის	1.294	1.090	118,7	129,3	9
17. ლაგოდეხის	1.287	1.019	126,3	135,4	6
18. სამგორის	1.264	1.180	107,1	112,6	43
19. მარნეულის	1.136	1.058	107,4	117,1	25
20. თელავის	1.129	1.010	111,8	116,4	27
21. თერჯოლის	1.125	993	113,3	116,0	29
22. ახალციხის	1.113	850	130,9	127,1	13
23. გორის	1.083	1.045	103,6	109,2	47
24. სტალინირის	1.076	1.026	104,9	110,9	45
25. ბორჯომის	1.064	1.004	106,0	114,0	36
26. ჯავის	1.057	1.003	105,4	107,4	54
27. ქარელის	1.051	883	119,0	136,6	4
28. საჩხერის	1.043	821	127,0	150,5	1
29. ზესტაფონის	1.034	785	131,7	131,4	7
30. ორჯონიკიძის	1.024	878	116,6	118,2	22
31. ყვარლის	1.015	929	109,3	117,8	23
32. ადიგენის	1.004	893	112,4	119,8	18
33. გაგრის	999	880	113,5	118,4	21
34. ზნაურის	999	927	107,8	107,7	50
35. ზუგდიდის	992	836	118,7	122,1	16
36. ახმეტის	984	872	112,8	123,8	12
37. სამტრედიის	979	790	123,9	131,1	8
38. აბაშის	974	903	107,9	114,1	34
39. დუშეთის	949	896	105,9	108,6	48
40. წყალტუბოს	939	867	108,3	105,8	57
41. ხაშურის	939	806	116,5	119,1	19
42. კასპის	937	751	124,8	135,6	5
43. თიანეთის	929	874	106,3	109,5	46
44. უაზბეგის	903	703	128,4	128,8	10
45. ონის	892	867	102,9	102,9	63
46. მესტიის	878	828	106,0	108,4	49
47. ამბროლაურის	867	730	118,8	112,7	42
48. ცხაკაიას	850	803	105,9	107,6	53
49. ლანჩხუთის	846	786	107,6	105,4	60
50. ლენინგორის	846	800	105,8	112,2	44
51. ჩობალაურის	839	753	111,4	105,2	61
52. ცაგერის	799	721	110,8	107,6	52
53. ხულოს	775	720	107,6	107,2	55
54. წულუკიძის	760	702	108,3	114,0	35
55. ქ. ჭიათურის	755	643	117,4	122,4	15
56. ვანის	747	670	111,5	113,0	41
57. გალის	746	692	107,8	102,5	64
58. გეგეჭკორის	737	679	108,5	91,3	68
59. სოხუმის	730	720	101,4	106,3	56
60. ხობის	725	704	103,0	96,0	66
61. ქედის	717	632	113,4	115,2	31
62. წალენჯიხის	713	689	103,5	103,3	62
63. ლენტეხის	700	700	100,0	96,4	65
64. მაიაკოვსკის	676	677	99,9	105,4	59
65. ოჩამჩირის	673	661	101,8	141,8	2
66. გუდაუთის	671	595	112,8	116,4	28
67. ჩხოროწყუს	666	652	102,1	92,2	67
68. შუახევის	615	540	113,9	105,5	58
სულ რესპუბლიკაში	1.115	999	111,6	112,9	

მტკიცდება მეგობრობა

მომდინარე წლის ზაფხულში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეთა სახელზე მიღებული იყო ალტინგის (ისლანდიის პარლამენტი) თავმჯდომარეების წერილი თხოვნით გაიგზავნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ისლანდიაში 1960 წელს.

წერილში გამოთქმულია გულითადი მადლობა იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც გაუწიეს ისლანდიის პარლამენტის დელეგაციას საბჭოთა კავშირში 1958 წელს, და აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მოგზაურობა ისლანდიაში კიდევ უფრო გააცნობს ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და ისლანდიის ხალხებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მათ შორის უფრო მტკიცე მეგობრობის დამყარებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეებმა ბ. პ. ლობანოვმა და ი. ვ. პეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშები და არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ციფრი ალაპარაკდა...

აჭ ყველაფერი კოლმეურნეთა შეძლებულ, საამურ ცხოვრებაზე მეტყველებს: ფერდობებზე შეფენილი ოდა-სახლები და საზოგადოებრივი ნაგებობანი, ქალაქის ტიპის ქუჩები და ლამაზად ჩაცმულ ადამიანთა ღიმნარეგი სახეები...

კოლმეურნეობის კარმიდამოზე ბევრი სტენდი და დიაგრამაა. ყოველი მათგანი სასოფლო-სამეურნეო არტელის სისხლსავსე ცხოვრების სახელოვან ფურცელს წარმოადგენს. ისინი თვალნათლივ მოგვითხრობენ განუხრელი ზრდის წლებზე, იმაზე, თუ როგორი აღმავლობის გზით მიდიოდა ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდგომ განვლილ პერიოდში.

ცალკეული მაჩვენებლები ასახავენ ზღუდეებს, რომლებიც უნდა აიღოს კოლმეურნეობამ შვიდწლედში და ბობოყვათელ კოლმეურნეთა მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

ბობოყვათის კოლმეურნეობას მთელ ჩვენს რესპუბლიკაში იცნობენ თავისი მაღალგანვითარებული საზოგადოებრივი მეურნეობით და შესანიშნავი ადამიანებით. წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 7.300 ათასი მანეთი შეადგინა. ეს ისედაც არც თუ პატარა ციფრი უფრო დიდად მოგეჩვენებათ, თუ გაითვალისწინებთ, რომ კოლმეურნეობაში მხოლოდ 404 კომლია და მიწის სავარგულების ფართობი 460 ჰექტარს შეადგენს.

ორიოდე მაჩვენებელი. შარშან კოლმეურნეობას ჰექტარმა მიწამ 19.302 მანეთი შემოსავალი მისცა. წამყვანი კულტურის — ჩაის პლანტაციების თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა სარეკორდო მოსავალი — 5.320 კილოგრამი ნედლეული. კოლმეურნეობამ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დანერგა შრომის გარანტირებული ფულადი ანაზღაურება. ხოლო თუ როგორია ეს ფულადი ანაზღაურება, ამას რამდენიმე მაგალითი ამტკიცებს. მერგოლურ მ. ბასილაძის ოჯახმა მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში უკვე მიიღო 51 ათასი მანეთი, თ. ჯინჭარაძის ოჯახმა — 43 ათასი მანეთი.

სოფლად ყოველწლიურად შენდება 20-25 საცხოვრებელი სახლი. მშრომელთა ყოფაცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა ელექტრობა, რადიო. სოფელს შესანიშნავი ინტელიგენცია ჰყავს.

მაგრამ ბობოყვათელ მშრომელებს მიღწევებით დატკბობა არ სჩვევიათ. ამიტომ სოფლის კომუნისტებმა დიდი საქმიანი მსჯელობა გაიჩაღეს თავიანთ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

მეჩაიობა კოლმეურნეობის წამყვანი დარგია. სწორედ მეურნეობის ამ დარგის განვითარების შედეგები დაედო საფუძვლად პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის შეფასებას.

— წელს აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ზუსტად დაცვით მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 621 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც 9 ათასი კილოგრამით აღემატება საგეგმო დავალებას, — განაცხადა მომხსენებელმა, პარტორგანიზაციის მიუროს მდივანმა მ. მახარაძემ. შემდეგ მან დაწვრილებით ჩამოთვალა მოწინავე ბრიგადები, რგოლები და კოლმეურნეები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ჩაის მოსავლიანობის ამაღლებაში.

ციფრები, ფაქტები და ციფრები... მათში ხელშესახებად გრძნობთ კრების მონაწილეების, მთელი კოლმეურნე გლეხობის დაძაბულ შემოქმედებითს შრომას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. მანელიშვილს უნებურად აგონდება ახლო წარსული, როცა ბობოყვათელ კოლმეურნეებს ბევრი რამ არ ჰქონდათ დასაკვეხნი. და როგორ არ უნდა იამაყო, როცა ადამიანებმა, რომლებიც ერთი სურვილით არიან შეკავშირებულნი, სულ რამდენიმე წელიწადში ასეთი საქმეების მოხდენა შეძლეს.

ყოველ საქმეში, დიდსა თუ მცირეში, დიდია პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების წვლილი. ეს მათ, კომუნისტებმა, შეძლეს პარტიული ორგანიზაციის გარშემო შეემჭიდროებინათ ასობით კოლმეურნე და დაერაზმათ ისინი პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. კოლმეურნეობაში 47 კომუნისტია და ყველა ისინი საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე მუშაობენ.

სახელოვანი საქმეები შეასრულეს სოფლის მშენებლებმა. 25-საწოლიანი საავადმყოფო, კინოთეატრი, სასპორტო დარბაზი, სტადიონი, ავტოსადგური, ბავშვთა ბაგები, სამელიორაციო არხები, ფერმის მექანიზაცია... — აი არასრული სია იმ ობიექტებისა, რომლებიც უკანასკნელ წლებში შეემატა ბობოყვათს.

კოლმეურნეობის ზრდასთან ერთად იზრდებიან კადრები. ჩამოთვალა რა მოწინავე კოლმეურნეთა სახელები, პარტბიუროს მდივანმა თავის მოხსენებაში ერთ-ერთი პირველი დაასახელა ბრიგადირი მ. ვერულიძე, რომლის უნარიანი ხელმძღვანელობითაც პირველმა ბრიგადამ ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 6.400 კილოგრამამდე აიყვანა. ეს კარგი შედეგი მაგალითია სხვებისათვის. ჩამორჩენას თავი დააღწია და წელს მოწინავეთა რიგებში ჩადგა მეორე ბრიგადა, რაც პარტჯგუფორგანიზატორ მ. ბოლქვაძის უნარიან მუშაობასაც უნდა მიეწეროს.

ახლა კოლმეურნეობის კომუნისტთა წინაშე დიდი, პასუხსაგები ამოცანებია დასახული. ამიტომ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ასახელებდნენ ახალ მაღალ მაჩვენებლებს, იმ ზღუდეებს, რომლებსაც უნდა მიაღწიონ ბობოყვათელმა კოლმეურნეებმა შვიდწლედში. 36 ჰექტარით გაიზრდება ჩაის პლანტაციების ფართობი, 50 ჰექტარით — ციტრუსების პლანტაციები, მნიშვნელოვნად ამაღლდება ყველა კულტურის მოსავლიანობა, კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 8.628 ათას მანეთს მიაღწევს.

ერთმანეთს სცვლიან ტრიბუნაზე კომუნისტები. ისინი ლაპარაკობენ ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებზე, მიუთითებენ კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტბიუროს მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე.

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის ზოგიერთი კომუნისტის ნაკლენ პასუხისმგებლობას მიუძღვნა თავისი გამოსვლა მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელმა რ. კონცელიძემ. კერძოდ, მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კომუნისტი კოლმეურნე ჯ. გიორგაძე, რომელიც გარეგამუშაოებისათვის იცლის, კოლმეურნეობისათვის კი დროს ვერ პოულობს.

— ჩვენს მუშაობაში, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. მანელიშვილმა, — ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი იერიშობანა, რის წინააღმდეგაც სუსტად იბრძვიან არტელის გამგეობა და პარტბიუროო. ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მეციტრუსეობას, რომელიც ჩვენს პირობებში კოლმეურნეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ შეიძლება გადაიქცეს.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაყენებას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები კომუნისტებმა ჯ. თამაზაშვილმა, ი. ბასილაძემ და სხვებმა.

კრების მონაწილეებმა გულმოდგინედ გაუკეთეს ანალიზი საანგარიშო პერიოდში პარტბიუროს მოღვაწეობას და დასახეს ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მისცემენ ბობოყვათელ მშრომელებს უფრო სწრაფად წასწიონ წინ საარტელო მეურნეობა.

გ. ზუკაკიშვილი,
დ. კაიხაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

რაღ გინდა მოსავაღი, თუ გაანიავებ?!

აფხაზეთის მეციტრუსეები წელს მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ სულ ცოტა 3.430 ტონა მანდარინის, 630 ტონა ფორთოხლის და ექვს მილიონ ცალზე მეტ ლიმონის ნაყოფს.

უხვი მოსავლის ასაღებად აფხაზეთის მთელი რიგი მეციტრუსე მეურნეობები წელს უკეთ მოემზადნენ. ახალი ათონის, გულრიფშის ილიჩის სახელობის და გალის რაიონის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები ციტრუსოვანთა მოსავალს თვითონ გადაამუშავებენ.

მოსავლის აღებისათვის სერიოზული მუშაობა გასწია ახალი ათონის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ვ. ჯიქია) კოლექტივმა. აღნიშნული მეურნეობა წელს სახელმწიფოს ჩააბარებს 250 ტონა მანდარინს, 23 ტონა ფორთოხლის და 100 ათასზე მეტ ცალ ლიმონის ნაყოფს. მეურნეობაში წელს ააგეს ახალი კაპიტალური შენობა — ციტრუსების შესაფუთავი პავილიონი, სადაც დაიდგა ახალი მანქანა-დანადგარები, რომლებიც მთლიანად ურჩუნველყოფენ მეურნეობის შოთხოვნილებას.

მიუხედავად ამისა, ციტრუსოვანთა მოსავლის აღება-გადამუშავების საქმეში სერიოზული ხაფანგებებია.

აფხაზოოკავშირის დირექტორ შემფუთავ ქარხანაში (დირექტორი ვ. ბეკეია) წელს მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა. მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზოოკავშირის ხელმძღვანელობის, მისი დამზადების სამმართველოს, სოხუმის რაიონის დამზადების კანტორის მუშაკთა უმოქმედობის შედეგად აღნიშნული ქარხანა ნორმალური მუშაობისათვის მთლიანად მზად არ არის.

შემფუთავი ქარხნის ელექტროგაყვანილობა, დამყალიბებელ მანქანებზე ელექტროენერგიის მიმწოდებელი ხაზები ავარიულ მდგომარეობაშია. კაპიტალურ რემონტს მოითხოვს სასადილოს, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა შენობების ღუმელები, დასაყენებელია ტუმბო და სხვ. ამ საკითხებზე ბევრი აქტი დაწერილა, შემფუთავი ქარხნის დირექტორს ვ. ბეკეიაისს ბევრჯერ მიუმართავს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით მდგომარეობის გამოსასწორებლად ყურს არავინ იბერტყავს. თავმინებებულ მდგომარეობაშია ქარხნის საერთო საცხოვრებელი.

არეკ-დარეკვა ციტრუსების მიღებაგადამუშავების მხრივ გუდაუთის რაიონში. ამ რაიონის ლენინის სახელობის და ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა ციტრუსოვანთა ნაყოფს ათიული წლების განმავლობაში ამბარებდნენ ახალი ათონის მიმღებ პუნქტს. ეს, ბუნებრივია, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ყველა ზემოაღნიშნული მეურნეობანი დაბა ახალი ათონის ირგვლივ მდებარეობენ, თვით მიმღები პუნქტი კი ოკინიგზის ახალი ათონის სადგურს გვერდით.

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს გუდაუთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ვ. კობახია) თავისი გადაწყვეტილებით აღნიშნულ მეურნეობებს რატომღაც აუკრძალა ახალი ათონის მიმღები პუნქტისათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარება და წინადადება მისცა მათ ნაყოფი ჩაბარონ გუდაუთის შემფუთავ ქარხანას. ხოლო გუდაუთა აღნიშნულ კოლმეურნეობებს დაშორებულია 15-25 კილომეტრით.

გუდაუთის რაიაღმასკომის არასწორი, უსაფუძვლო გადაწყვეტილება კოლმეურნეობებმა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში გაასაჩივრეს. მინისტრთა საბჭომ გუდაუთის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება არასწორად ცნო და 16 ოქტომბერს წერილობითი წინადადება მისცა გუდაუთის რაიაღმასკომს და აფხაზოოკავშირის გამგეობას, რომ აღნიშნულმა კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ციტრუსოვანთა ნაყოფი ჩააბარონ ახალ ათონში. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გუდაუთის რაიაღმასკომი აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს კანონიერ მითითებას უყურადღებას არ აქცევს და ახალი ათონის მიმღები პუნქტი ციტრუსების მიღებისათვის არ ზრუნავს.

საგულისხმოა, რომ დრანდის სადგურის მოედანი დაჭაობებულია, გუბეები ტალახი დგას. მანქანიდან შემთხვევით გადმოვარდნილი ყუთები ისერება და უეარგისი ხდება. წესის მიხედვით ერთი ვაგონის დატვირთვისათვის ორი საათია გათვალისწინებული. ფაქტიურად აქ ვაგონთან ერთი მანქანის მიყენებისა და უეთების გადატვირთვისათვის ერთი საათია საჭირო, ხოლო მთლიანად ერთი ვაგონის დატვირთვას 6 საათს ანდომებენ. დატვირთვის დროის გადაცილებისათვის რკინიგზა ქირას აღებულებს შემფუთავ ქარხანას. მაგალითად, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში დრანდის შემფუთავმა ქარხანამ ჯარიმის სახით 7 ათას მანეთზე მეტი გადაიხადა. აღნიშნული მდგომარეობა ცნობილია სოხუმის რაიონის ხელმძღვანელობისათვის, რომელსაც ტერიტორიულად დრანდის სადგური აქვთ, მაგრამ მისი მოედნის კეთილმოწყობაზე არაფინ ფიქრობს.

აქა-იქ ეხვდებით ციტრუსოვანთა ნაყოფის დატაცების ფაქტებს. ამას წინათ გაგრის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი არმენული ვარდანიანი ქ. ვორონეჟში მანდარინის ნაყოფს ჰყიდდა. ის მილიციის მუშაკებმა დაიკავეს და 640 კილოგრამი მანდარინის ნაყოფი აღმოუჩინეს. მილიციის გაგრის განყოფილების მუშაკებმა გზაზე დაიკავეს გუდაუთის რაიონის სოფელ ზღვისპირეთის მცხოვრები კაპრეს სუმბურიანი, რომელსაც კრასნოდარის მხარის მიმართულებით ავტომანქანით მიჰქონდა 150 კილოგრამი მანდარინის ნაყოფი.

2 ნოემბერს სოხუმის საკოლმეურნეო ბაზარზე ციტრუსებით ვაჭრობდნენ ქალაქ სოხუმის მცხოვრები გრიგოლ ჯღარკავა, სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთის მცხოვრები ნაზიკ მატიანი, სოფელ გულრიფშის მცხოვრებები ეკრა ხურცილავა, ლუსანუშ ბუიკლიანი, სოფელ ბესლეთის მცხოვრები ანა შუმოვა და სხვები. სოფელ ზემო ეშერის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ი. კაკაძემ თავის ჭიათურელ „ნაცნობებს“ 112 კილოგრამი მანდარინი მაჰყიდა, მაგრამ გადატანისას გზაზე დაიკარგა.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ციტრუსოვანთა ნაყოფის გახიავების თავიდან ასაცილებლად მილიციისა და პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან.

დრო არ ითმენს. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი მცირე დრო, სასწრაფოდ აღმოვფხვრათ ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-დამზადების საქმეში არსებული ყველა ნაკლოვანება, შეუფერხებლად ავიღოთ და გადავამუშაოთ ციტრუსოვანთა მთელი მოსავალი, მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ბრიგადა ხ. გრიგორიანი. ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

ტემპი, ტემპი და არა კუს ნაგიჯი!

„კომუნისტის“ რეიდი

ქუთაისის პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან ქალაქის მშრომელთა მზარდ საწარმოო აქტივობას, სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის.

ამასთან ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული რეზერვები, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია მუშაობაში.

ტექნიკური პროგრესის დარგში არსებულ მდგომარეობაზე მოუთხრობს მკითხველებს ქუთაისის მსხვილ საწარმოებში მოწყობილი „კომუნისტის“ მუშკორთა მახვილბრივი რეიდის მასალები.

ლობის საავტომობილო ქარხანაში. ქართული ავტომობილის მშენებელთა სპატირო ამოცანაა უახლოეს 2-3 წელიწადში აითვისონ და უზრუნველყონ ახალი მარკის ავტომობილების — „კაზ-605“ და „კაზ-606“ სერიული წარმოება.

ახალ სახეობათა პროდუქციის გამოშვება ახალი ტექნიკის დანერგვასთან ერთად მოითხოვს ავტომობილის რთული კვანძებისა და დეტალების დამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფას. სწორედ ამიტომ აქ შემუშავებული აქვთ ტექნიკური პროგრესის, აგრეთვე ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების ფართო გეგმები.

ქარხანას შეემატა ავტომატური ხაზები, ლენტური ტრანსპორტიორები. სამსხმელო, სამეედლო და საწნეხ-საძარე საამქროებში დაიდგა ახალი მძლავრი წნეხები, საყალიბო მანქანები. ძრავის საამქროში მოეწყო ნახევრადავტომატური ნაკადური ხაზი.

ელექტრომექანიკურ ქარხანაში წელს დიდი წარმადობის ბევრი მანქანა და მოწყობილობა დაინერგა. ჩარხებზე დეტალების დამაგრება და მოხსნა აქ ჰიდრავლიკური და პნევმატური დამჭერებით ხორციელდება. ამკრეფმექანიკურ საამქროში მნიშვნელოვნად გააფართოეს ფლუსის (მდნობის) ფენის ქვეშ ნახევრადავტომატური შედუღების გამოყენება.

ლიტოპონის ქარხანაში ორ ვაკუუმფილტრზე განახორციელეს სუსპენზიის მიწოდების ავტომატიზაცია, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება, შეამსუბუქა მუშათა შრომა. მელიტოპოლეებმა წარმატებით დადაწყვიტეს ახალი ტექნოლოგიის — თუთიის აჯასის მისაღებად თუთიის ნამწვის გადამუშავების ამოცანა.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო სიმძლავრეთა გადიდების ყველა სამუშაო ერთნაირი მონდომებითა და წარმატებით როდი ხორციელდება.

მიმდინარე წელს ლიტოპონის ქარხანაში უნდა დამთავრდეს შაბიამნის ახალი საამქროს მშენებლობა, რითაც მომავალი წლიდან ქარხანაში ორჯერ უნდა გადიდდეს შაბიამნის გამოშვება. მაგრამ ქარხნის საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებისათვის დღემდე აღებული ტემპი საკმარისი არ არის. თუმცა ახალი საამქროსათვის ყველა საჭირო აპარატი და მოწყობილობა ადგილზეა მიღებული, მშენებლობის სამუშაოები მხოლოდ 70 პროცენტით არის შესრულებული. ამის გამო დაწყებული არ არის მოწყობილობის მონტაჟი.

საავტომობილო ქარხნის საიარაღო-სატვიფრო საამქროში მძიმე დეტალების ტრანსპორტირება ძირითადად ხელით, გაგორებით ხდება, თუმცა ქარხნის პროექტით აქ ხიდური ამწე უნდა მოეწყოთ.

ხელის მძიმე შრომის ლიკვიდაციისათვის გადამწყვეტი ღონისძიებები არ ხორციელდება ელექტრომექანიკურ ქარხანაში. განსაკუთრებით ითქმის ეს დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებზე და ეს მაშინ, როცა ქარხანას თავისივე ძალებითა და საშუალებებით შეუძლია მთელ რიგ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ქარხნის მუშაობაში ყველაზე სუსტ რგოლს ახალი პროდუქციის გამოშვებისათვის მზადება წარმოადგენს. მიმდინარე წელს ქარხანამ ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო ოთხი ახალი სახის პროდუქცია უნდა აითვისოს. მაგრამ ამ საქმეს, გარდა საჭირო მოწყობილობის უქონლობისა, ისიც აფერხებს, რომ დღემდე არ დაუმთავრებიათ საგამოცდო და გალვანური საამქროების მშენებლობა.

ტექნიკური პროგრესის გეგმით **აბრეშუმკომბინატში** უნდა განხორციელებინათ საქსელე მანქანებზე ძაფის გაწყვეტისას მანქანის ავტომატური გამომრთველის მოწყობა. ეს ღონისძიება ჯერ კიდევ მეორე კვარტალში უნდა შესრულებულიყო, მაგრამ ახლაც განუხორციელებელია იმის გამო, რომ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ქ. გორის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ვერ უზრუნველყო აღნიშნული ავტომატური ხელსაწყოს დამზადებაზე კომბინატის დაკვეთის შესრულება.

სამკერვალო ფაბრიკაში დღემდე არ დაუდგამთ შარვლის დასაუთოებელი ორი მსუბუქი პნევმატური წნეხი. **მაუდის ფაბრიკაში** ვერ უზრუნველყვეს ტექნიკური პროგრესის გეგმის იმ ნაწილის შესრულება, რომელიც ნედლეულის საწყობიდან მოსამზადებელ საამქროში ნედლეულის მექანიზებულ მიწოდებას ითვალისწინებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის საწარმოებს არც ერთ წინა წელში არ მიუღიათ იმდენი ახალი ტექნიკა და მოწყობილობა, რამდენიც მიმდინარე წელს მიიღეს. მაგრამ ტექნიკური პროგრესის დიდი გეგმა, რომლის განხორციელებასაც თვითეული საწარმოს კოლექტივი ითვალისწინებს, მოწყობილობის მიწოდების გადაჭრით გაუმჯობესებას მოითხოვს.

ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისებას, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას ზოგჯერ ხელი ეშლება იმის გამო, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს შესაბამისი სამმართველოები ვერ უზრუნველყოფენ მოწყობილობის დროზე და კოდპლექციურად მიწოდებას.

ელექტროტექნიკურ ქარხანაში ახალ სახეობათა პროდუქციის — ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო ჩასაძირი ელექტროტუმბოსა და ჩასაძირი ძრავას საცდელი ნიმუშები მეორე-მესამე კვარტალში უნდა გამოეშვათ, ხოლო ელექტროტუმბოს საძართავი სადგურისა და ელექტრობურღის ძრავი მეოთხე კვარტალში უნდა იქნას ათვისებული. სამწუხაროდ, ახალი პროდუქციის ათვისებას ხელი ეშლება ძასალებისა და მოწყობილობის უქონლობის გამო, რომელთა დროულად მიწოდებას ვერ უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთასაშენი მრეწველობის სამმართველო.

ლიტოპონის ქარხანამ მიმდინარე წელს უნდა აითვისოს ემულსიური საღებავების ახალი ტექნოლოგია და უზრუნველყოს „პოლივინილაცეტატის“ ემულსიით აღნიშნული საღებავის საცდელი პარტიის გამოშვება. ქარხანა ამის განხორციელებას აქამდე შეძლებდა, მაგრამ მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველომ დღემდე ვერ მიაწოდა მას საჭირო ნედლეული.

მიმდინარე წელს საავტომობილო ქარხანამ 190 ერთეული ლითონსაჭრელი ჩარხი და დაზგადანადგარი უნდა მიიღოს. ახლა, როცა სამეურნეო წელი იწურება, მათი უმეტესობა ადგილზე უნდა იყოს. მაგრამ გასულ პერიოდში ქარხანამ მხოლოდ 70-მდე ერთეული მოწყობილობა მიიღო.

ბევრი გაკეთდა, მაგრამ წინ დიდი სამუშაოა.

„კომუნისტის“ რეიდის მონაწილენი: **შ. სარდალიშვილი** — ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საიარაღო-სატვიფრო საამქროს უფროსი ოსტატი, **ნ. ალექსეევი** — ამავე ქარხნის ტექნოლოგიური განყოფილების ინჟინერი, **ვ. მარგველაშვილი** — ელექტრომექანიკური ქარხნის საამწყობო-მექანიკური საამქროს ზეინკალი, **ბ. ბაბუხადია** — ამავე ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე, **ლ. კილაძე** — ინჟინერ-კონსტრუქტორი, **ე. არაბიძე** — აბრეშუმკომბინატის № 1 საქსოვი საამქროს ცვლის პარტბიუროს მდივანი, **ა. ქათამაძე** — ინჟინერ-კონსტრუქტორი, **პ. მარგველაშვილი** — ლიტოპონის ქარხნის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი, **ბ. ანასტასიადი** — თუთია-შაბიამნის საამქროს უფროსი, **მ. მოდებაძე** — მაუდის ფაბრიკის მრთველი, **ტ. ინანეიშვილი** — მაუდის ფაბრიკის ტექნიკური უსაფრთხოების ინჟინერი, **პ. რუხაძე** — სამკერვალო ფაბრიკის მექანიკური საამქროს უფროსი, **ე. ამირანაშვილი** — ამავე ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგი, **შ. ჯაფარიძე** — „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის შემფუთავ პავილიონში. წინა პლანზეა მოწინავე მუშა ნ. ლორია, რომელიც დღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო ვ. გრიშჩენკოსი.

ამღერებული სიცოცხლე

ივრის ორივე მხარეზე გაწოლილა მთაგრეხილები. ერთიმეორისაკენ [illegible] ივნიან, ავიწროვებენ მდინარის კალაპოტს... მაგრამ ამავე მთების პირშიო ირია შუაზე ჩკვეთს ცისკენ აზიდულ ზვიად ქედებს და ფაფარაყრილი მიჰქუხს ბარისაკენ, ზვირთთა ჩხრიალით აღვიძებს ყებოტისა და თიანეთის მიდამოებს, ჯიხოსა და გონდაურის მწვანედ ახასხასებულ ჭალებს.

სოფელ სიონთან კი ორის ნირი უცვლია. ადამიანის მარჯვენას აუცდენია იგი მთავარი კალაპოტისათვის, შფოთით მიჰყვება ბეტონის ვიწრო გვირაბს, ცდილობს ტყვეობისაგან იხსნას თავი შიბოჭილმა მდინარემ.

მისი საუკუნოებრივი კალაპოტი წაშალა ქვიშის ხელოვნურმა მთამ. ეს ვეება მთა კი დღითიდღე მაღლდება, განიერდება და საიმედოდ კეტავს მდინარის გასასვლელს. ტყიან ჭალებში, სადაც ცხენოსანი მგზავრიც გაჭირვებით პოულობდა გზას, ახლა სატვირთო ავტომანქანები დადიან, მხრებგაშლილ რიყეს შესცევიან ბულდოზერები და ბელტიულანია ექსკავატორები. მდინარის მიერ მოზიდული ქვიშა მთებიდან კაშხალისაკენ ინაცვლებს, რათა ღირსეული აკვანი მოუმზადოს ბობოქარ იორს და ზღვად აქციოს იგი.

მიჰყვები მომავალი ზღვის ფსკერს და ზღვა ფიქრებში დაცურავ. ორი წლის შემდეგ აქ არ იქნებიან ეს ლამაზი ტირიფის ხეები, მურყნისა და თხილის აქოჩრილი ბუჩქები, მდელოზე აბიბინებული მთის ნაზი ყვავილები. აღარ იქნება მდინარის გულის მესაიდუმლე ძველი წისქვილი. ყველაფერს წყალი დაფარავს. წყალი გამეფდება ყვავილთა სამეფოში...

და თუ სიონის ზღვის ფსკერზე წაიშლება ყვავილებითა და ხეებით დამშვენებული ჭალა, თუ ძველი წისქვილი თევზთა თავშესაფარად იქცევა, სამაგიეროდ ათასი სიცოცხლე ამღერდება სამგორის ველზე, წყალი არ მოაკლდება მაღლიან მიწას, იმატებს პურეულისა და ყურძნის მარაქა.

ჩვენს მზიურ ქვეყანაში ყველა სიკეთის შემქმნელი ადამიანის მარჯვენაა. ადამიანის მარჯვენა ქმნის სიონის ზღვასაც, რომელიც სამგორის სარწყავი სისტემის პირველი საგუბარი იქნება. იგი რამდენიმე მილიონი კუბური მეტრი წყლით გადაკეტავს თბილისის ზღვას.

გულმოდგინედ შრომობენ სიონელი **მშენებლები ნაკისრ ვალდებულებათა** განხორციელებისათვის. წარმოებაში ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვით ისინი შესამჩნევად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ვადამდე ანაღრმავლნა საწარმოო დავალებებს. წელს აქ მესრულდება 30 მილიონი მანეთის სამუშაოები და მომჭირნეობის რეჟიმის ზუსტად დაცვით შვიდწლედის ფონდში ერთ მილიონ მანეთზე მეტი თანხა იქნება შეტანილი.

ბევრი მოწინავე და სახელგანქმული ბრიგადა მუშაობს ამ წყალსატევის მშენებლობაზე. მაგრამ მებეტონეებს მაინც ვერავინ შეედრება. ისინი სამოლოდ წყვეტენ მომავალი ზღვის ბედს, აგვირგვინებენ კაშხალის სიმტკიცესა და გამძლეობას.

ოცზე მეტი ვაუკაცი შერკინებია კაშხალის საწნეხ ნაწილს. ისინი ქარხნიდან მოტანილი ბეტონს სახურავად ასხამენ ყალიბებში, ტკეპნიან ელექტროსატკეპნებით, ასწორებენ რკინაბეტონის ფილების ზედაპირს, რომლებიც შნოსა და იერს მატებენ ხელოვნური მთის ფერდობს.

მებეტონეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ივანე კობერიძე ყოველ წუთს მუშებთან ტრიალებს. მის ხელში ხან ნიჩაბი გაიელვებს, ხან წერაქვი, ხან კიდევ ელექტროსატკეპნი გუგუნებს. ივანე გამოცდილი მებეტონეა. ამ სასახელო პროფესიის დაუფლებაში იგი ბრიგადის წევრებსაც ეხმარება, წარმატებით ასწავლის დაბეტონების, ფილების ჩაწყობისა და მოპირკეთების საქმეს. მისი დაუცხრომელი შრომის შედეგად ბრიგადამ დავალება 146 პროცენტით გაანაღდა. ბრიგადაში ბევრია შრომისმოყვარე და ენერგიული მუშა. ერთ-ერთი მოწინავეა გიორგი ბუჯიაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 170-180 პროცენტით ასრულებს და მუყაითი შრომით მშენებელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, ამიტომაც აირჩიეს იგი თიანეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატად, ენდნენ ალალი კაცის გულსა და სიტყვას.

...გიორგი ბუჯიაშვილმა ბავშვობა სიონისა და ერწოს ველ-მინდვრებზე გაატარა. აქ მწყემსავდა ცხვრისა და ძროხას, ტკბებოდა ივრის ტალღების დუდუნით. მაგრამ რაგორ წარმოიდგენდა, თუ ამ ზვიადი მთების შფოთიანი მდინარე ოდესმე ადამიანის ნებას დაემორჩილებოდა, ზღვად იქცეოდა, და ამ ზღვის ერთ-ერთი შემოქმედი თვითონ გახდებოდა... ახლა გიორგი ნამდვილი მშენებელია. მის გულში რა ჩააქრობს სიხარულსა და ბედნიერებას. ღარიბი გლეხის შვილი ხალხმა ქებით შეამკო, საბჭოთა მთავრობამ კი მედლით — „შრომითი მამაცობისათვის“ — დაუმშვენა მკერდი. გიორგის მეგობრად მრავალი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ჰყავს. იგი მათთან შრომობს და ცხოვრობს, მათგან სწავლობს და მათ ასწავლის.

ხახალიოსა მებეტონეთა პროფესია, რწმენა კი ბეტონიყვით ურყევი. მკლავმტკიცე ვაჟკაცებმა იციან რომ საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ. შეეხარიან გმირული შრომის ნაამაგარს, მარჯვედ ატრიალებენ ნიჩბებსა და წერაქვებს...

მებეტონეებს მშენებლობის უფროსი სტალინური პრემიის ლაურეატი გიორგი მაევსკი და მთავარი ინჟინერი ლავროსი თავართქილაძე მიუახლოვდნენ. ეტყობოდათ მოსწონდათ ივანე კობერიძის ბრიგადის ნამუშევარი და კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ. დიმილის ნათელი ენთო მათს სახეზე.

— ივანე, — მიმართა ბრიგადირს მაევსკიმ, — კიდევ უფრო მეტი მონდომებით უნდა ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკელი ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად

პიერ კურტადი
ფრანგი პუბლიცისტი

შეერთებულ შტატებში მე იმ თარიღზე ცოტა უფრო ადრე ჩავედი, რომელიც დასახული იყო ნ. ს. ხრუშჩოვის შესახვედრად. ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ ვაშინგტონში წავსულიყავი, თავდაპირველად ნიუ-იორკში გავემგზავრე. მინდოდა გამომერკვია, როგორი იყო იქ საზოგადოებრივი აზრი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე. საკმაოდ კარგად ვიცნობდი ქალაქს და მის მცხოვრებლებს, ნაწილობრივ სახელმწიფო დეპარტამენტის მიზეზით, რაც ელიც მრავალი წლის განმავლობაში მიკრძალავდა, როგორც კომუნისტს, დამეტოვებინა ნახევარკუნძული მანჰეტენი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის უშუალოდ მოშიჯნავე უბნები. ამრიგად, ამერიკა ჩემთვის ღიდხანს მარტო ნიუ-იორკით იყო შემოფარგლული, და მინდოდა მალე შემეტყო, რას ფიქრობდნენ ნიუიორკელები ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შესახებ.

ვაშინგტონ-სკვერში, ქალაქის ევროპული ნაწილის შიგ შუაგულში, კვირადღეობით (მე იქ სწორედ კვირადღეს მოვხვედი) ნაშუადღევს ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან ქალიშვილები და ჭაბუკები — სტუდენტები, მოსამსახურეები, მუშები, რომ იცეკვონ და იმღერონ მხატვრების გარემოცვაში, რომლებსაც ტროტუარებზე გამოუფენიათ თავიანთი ტილოები იმ იმედით, რომ შექმნან პარიზის, კერძოდ მონპარნასის ბულვარის ატმოსფერო. ამ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შორის, რომლებიც ძალიან ხალისიანად და თავაზიანად მესაუბრებოდნენ, აზრი ერთსულოვანი იყო: ხრუშჩოვის მოწვევა კარგი საქმეა. ეიზენჰაუერი აბსოლუტურად მართალი იყო, საბჭოთა პრემიერ-მინისტრი რომ მოიწვიაო.

ამავე დროს ჩემი ახალგაზრდა თანამოსაუბრეების მეტი ნაწილი სრულებითაც არ ფარავდა თავის პატრიოტულ სიამაყეს, როცა წარმოდგენდა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი დაინახავდა ნიუ-იორკის ფანტასტიკურ პეიზაჟს და ეგრეთწოდებულ „ავტომობილის ცივილიზაციას“.

ჩემს ინტერესს რომ განვაგრძობდი, ტაქსი ავიყვანე და მდინარე ჰუდზონის ნაპირზე წავედი. მანქანა პოლონური წარმოშობის ახალგაზრდა ამერიკელს მიჰყავდა. ჩემს კითხვაზე, რას ფიქრობთ ხრუშჩოვის ჩამოსვლაზე-მეთქი, მან მიპასუხა:

— ეს კარგი საქმეა, მაგრამ ჩვენ კომუნისტებთან საერთო არა გვაქვს რა. კომუნისტებს სურთ მსოფლიოზე იბატონონ.

— მაგრამ თქვენ აიკის ადგილს რომ ყოფილყავით, მოიწვევდით ხრუშჩოვს?

— მაინც მოვიწვევდი, იმიტომ რომ ომი საშინელი საქმეა. საჭიროა არ არის ვბოცავდეთ ერთმანეთს. სიცოცხლე მშვენიერია.

ჰუდზონის ნაპირზე ერთ-ერთ პარკში ზანგ მუშას შევხვდი. მან მაშინვე დიდი აღფრთოვანებით დაიწყო ლაპარაკი ვიზიტის შესახებ.

— ეს საუკეთოა მშვიდობის საქმისათვის, — მითხრა მან.

მე ვკითხე, ფიქრობს თუ არა იგი, რომ ხრუშჩოვი შეძლებს დაინახოს ამერიკის სინამდვილე.

— მთელ სინამდვილეს ვერ დაინახავს, — მიპასუხა მან და ხმამაღლა გაიცინა. — ძალიან სამწუხაროა, რომ ვერ ინახულებს ალაბამას და სამხრეთის სხვა შტატებს. ჩვენთვის, ფერადკანიანებისათვის, ეს ნიუ-იორკი როდია.

ცოტა კიდევ რომ გავიარე, გამოველაპარაკე ახალგაზრდა ცოლქმარს, რომლებიც თავიანთ გოგონას ეთამაშებოდნენ.

ვაი ერთ-ერთი სარეკლამო საგენტოს მხატვარი აღმოჩნდა (ეს პროფესია განსაკუთრებით მაღალანაზღაურებადია შეერთებულ შტატებში). მათ არ გაჰკვირებიათ ჩემი კითხვა. სწორედ წინადღეს ლაპარაკი ჰქონიათ ამის შესახებ თავიანთ მეგობრებთან. ყველანი იმ დასკვნამდე მისულან, რომ „უნდა ვამყარეთ კავშირი. როცა ჩვენ, რუსები და ამერიკელები, უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს, ომი შეუძლებელი გახდება“.

ვესაუბრე კიდევ რამდენიმე ნიუიორკელს, რომლებიც ანალოგიურ პასუხს მაძლევდნენ. გაზეთების საღამოს გამოშვებანი ვეიტანეთ. ყველა სათაურებით იუწყებოდნენ, საბჭოთა რაკეტა ეს-ეს არის მთვარეს მიაღწევსო. ერთმა გამვლელმა მითხრა, ახლა მხოლოდ რუსების რაკეტა მაინტერესებსო. რაკეტა მთვარეს ხუთი წუთის შემდეგ მიაღწევს, და პლანეტარიუმში მივეშურები, რათა ამ „სალუტის“ მნიშვნელობა ამიხსნანო.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებამ აქ კოლოსალური შთაბეჭდილება მოახდინა. ყველანი, ვისაც შევხვდი, ვისაც ვესაუბრე, აცსადებდნენ, რომ ეს ისტორიული მოვლენაა და რომ „ხრუშჩოვს შეეძლება ფართოდ იღიმებოდეს, როცა სამშობლოს ვაშინგტონში ჩამოვალ“.

და მხოლოდ ერთმა ამერიკელმა, იტალიური წარმოშობის მუშამ, მითხრა: „მე ღმერთი მწამს, და ცოდვად მიმაჩნია მიწიერი ინსტრუმენტებით უფლის სამყლობელოში შეჭრა“.

მე გავაკეთე დასკვნა: მიწვევა ამერიკელი ხალხის ფრიად ფართო წრეებმა მოიწონეს, მიუხედავად ეაოფილებისა, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში წარმოებდა, რომელსაც კერძოდ კათოლიკური ეკლესია ეწეოდა, რათა საზოგადოებრივი აზრი აემეხდრებინათ მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ.

ეხობამ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შესახებ გამოიწვია ის, რომ ყველაფერი, რაც კი საბჭოთა კავშირს ეხებოდა, გაძლიერებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ინფორმაციაში, რომელსაც პრესა აქვეყნებდა და, რომელსაც ტელევიზია და რადიო ეუწყებოდნენ „რუსეთის საკითხზე“, ბევრ წინასწარგანზრახულ სიცრუესა და სისულელეს შეხვდებოდით. მაკარტიზმისა და „ცივი ომის“ მეძკვდრეობა რამდენიმე კვირის და თუნდაც რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ აღმოიფხვრება, მაგრამ პირველად მოხდა, რომ საბჭოთა კავშირი ამერიკელებისათვის ჯოჯოხეთის აქვეყნიერ ფილაქს აღარ წარმოადგენს და ცოცხალი ადამიანებით დასახლებული ცოცხალი ქვეყანა გახდა.

